ა (ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

18.09.2012 №119

თბილისი

სტუ-ს ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის
ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობებზე
ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2012 წლის 10 სექტემბრის სხდომის №5 ოქმისა და ინსტიტუტის დირექტორის 2012 წლის 10 სექტემბრის №04.04.106/39 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი.
2. კონსურსი ჩატარდეს 2012 წლის 15 ოქტომბერს.
3. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2012 წლის 19 სექტემბერს და დასრულდეს 2012 წლის 12 ოქტომბერს. საბუთები მიიღება ინსტიტუტის შენობაში, მისამართზე: სოფ. დიღომი, ჭანტურიას ქ. №1. 11 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
4. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
5. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

ვაკანტური თანამდებოები და საკონკურსო პირობები

1. საინჟინრო გეოეკოლოგიის განყოფილება:
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული;
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 2,5 საშტატო ერთეული;
გ) მეცნიერ თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული.
2. ზღვის საინჟინრო გეოლოგიის განყოფილება:
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
გ) მეცნიერ თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული.
3. ჰიდროგეოლოგიის განყოფილება:
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 0.5 საშტატო ერთეული;
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული;
გ) მეცნიერ თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული.
4. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:
ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
ე) ერთი სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის) ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს;
ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, მისამართი) (სასურველია);
ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტებისა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია);
5. ა) მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
გ) მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;